

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი № 16

ქ. ახმეტა

01 აგვისტო, 2016 წელი

თავმჯდომარეობდა:

გელა ჯუგაშვილი ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრები:

თ. წითელაური, ა. შათირიშვილი,

გ. ქიტესაშვილი, ლ. გოგოთიძე,

რ. ბადაკაშვილი, მ. ალხანაშვილი,

დ. მურთაზაშვილი, ა. ნახუცრიშვილი,

ბ. ჭიჭიკლიშვილი, თ. ბოდაველი,

გ. მაისურაძე, ა. ძეგველიშვილი,

ი. უჯირაული გ. შორთიშვილი,

გ. უძილაური, ც. გრძელივანიშვილი,

სხდომა გაიხსნა 10⁰⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ გელა ჯუგაშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.



დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 ოქტომბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ანნა სიმონიშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მიღება, რასაც ყველა საკრებულოს წევრმა მხარი დაუჭირა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 ოქტომბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ანნა სიმონიშვილი/

მომხსენებელმა დამსწრე საკრებულოს წევრებს განმარტა :

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი: ნორმატიული აქტის პროექტის მიღების აუცილებლობა განპირობებულია საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებით.

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ შესაბამისობაში მოყვანა.

ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი: პროექტის შესაბამისად ახლებურად ყალიბდება დადგენილების პრეამბულა და შესაბამისობაშია მოყვანილი ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მუხლებთან.

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ ყოფილა.



სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი დამსწრე წევრებმა.

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №16 -ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ წესდებაში ცვლილების განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს ხომ არ სურდათ საკითხის დაყენება, რამაზ ბაღაკაშვილმა დააყენა დუისის ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილი პრობლემა:

სარწყავი არხები იკეტება, ქვევით ხალხი კეტავს და ზევით მცხოვრებლებს ეზოში უგუბდებათ წყალი. ზედამხედველობის სამსახური მივიყვანე, მაგრამ კანონით ჩვენ არ გვებეზაო, წყლის ა.ი.პ.ი.- მაც არ გვებეზაო და რა უნდა გავაკეთოთ, ვის მივმართოთ პრობლემის მოსაგვარებლად? სანიაღვრე არხებიც პრობლემაა და სარწყავი არხებიც. სახელწიფოს ჩალაგებულ მილებს იღებენ და ეს იწვევს პრობლემებს. სახელმწიფოს ქონებას აზიანებს მოსახლეობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყდა, რომ მიმართონ მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც შესაბამის ორგანოს დაავალებს პრობლემის მოგვარებას.

ციური გრძელივანიშვილმა აღნიშნა, რომ მატანში არის წყლის პრობლემა. სარემონტო სამუშაოების დროს კეტავენ წყალს, რაც ხალხის უკმაყოფილებას იწვევს. ასევე დაინტერესდა როდის დაიწყება მატნის სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

ვაჟა ნასყიდაშვილმა უპასუხა, რომ წყლის სარემონტო სამუშაოები ვერ განხორციელდება დაკეტვის გარეშე. ასევე სპორტული კომპლექსის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 10⁴⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გელა ჯუგაშვილი